მუზეური

№3, 2017



საქართველოს (Georgian) საავტორო უფლებათა (Copyright) ასოციაცია (Association)

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია არის საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია. იგი შექმნილია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 1999 წელს. ასოციაცია წარმოადგენს ავტორთა, შემსრულებელთა, ფონოგრამის და ვიდეოგრამის დამამზადებელთა გაერთიანებას და მას საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვის მიზნით გააჩნია შემდეგი ძირითადი უფლებამოსილება:

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში - საქართველოს მოქალაქე უფლების მფლობელების შემთხვევაში პირდაპირი ხელშეკრულებით, ხოლო უცხოელი უფლების მფლობელების შემთხვევაში შესაბამისი ქვეყნების ანალოგიურ, კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების მეშვეობით;

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების გამოყენებისათვის განაკვეთების დადგენა;

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების გამოყენებისათვის ლიცენზიების გაცემა და ჰონორარის შეგროვება;

შეგროვებული ჰონორარის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებზე განაწილება და გადახდა - საქართველოს მოქალაქე უფლების მფლობელებისთვის უშუალოდ, ხოლო უცხოელი უფლების მფლობელებისთვის შესაბამისი ქვეყნების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების მეშვეობით.

გარდა საავტორო და მომიჯნავე ქონებრივი უფლებების კოლექტიური წესით მართვის ძირითადი ფუნქციისა, ასოციაცია ნებაყოფლობით და არსებული რესურსის ფარგლებში ასევე ეწევა შემდეგ საქმიანობას:

საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით აწარმოებს საინფორმაციო კამპანიებს, ახორციელებს საგანმანათლებლო და სოციალურ პროგრამებს, უწევს უფლების მფლობელებს კონსულტაციას და სადავო საკითხებში წარმოადგენს მათ ინტერესებს, აწარმოებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების მონიტორინგს, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად იბრძვის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს.

ასოციაციაში გაწევრიანებულია 1700 ზე მეტი ადგილობრივი უფლების მფლობელი და მას გადაცემული აქვს უცხოელ უფლების მფლობელთა ქონებრივი უფლებების მართვის კომპეტენციაც, რომელიც ხორციელდება შესაბამისი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების საფუძველზე. ასოციაცია ფარავს მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიას. ჯამში ასოციაცია წარმოადგენს ოთხ მილიონზე მეტ საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელს მსოფლიოს მასშტაბით და ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე მათი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვას.

GCA

საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

სარჩევი

3 GCA საქართველო

GCA რიცხვებში 6

7 GCA მსოფლიო

GCA ლექსიკონი 10

18 GCA საინტერესო

გამომცემელი: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
საქართველო, 0171 თბილისი, კოსტავას ქ.63
www.gca.ge
contact@gca.ge
გრაფიკული დიზაინი: ნუცა ნადირაძე
ფოტო: გიორგი ცაავა
დაიბეჭდა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ პოლიგრაფიულ ბაზაზე

მასალების გამოყენება გამომცემლის ნებართვის გარეშე აკრძალულია
ყველა უფლება დაცულია © 2017

გასულ პერიოდში, ასოციაციის მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობების შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

ასოციაციამ მოამზადა და გამოაქვეყნა 2016 წლის ანგარიში, რომელიც განთავსდა როგორც ასოციაციის ვებ გვერდზე, ასევე გამოიცა ბეჭდური სახით. აღნიშნული დოკუმენტი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად წარედგინა საქპატენტს და გაეგზავნა საზღვარგარეთის პარტნიორ ორგანიზაციებს. წლიურ ანგარიშთან ერთად მომზადდა საერთაშორისო ანგარიშები და გაიგზავნა იმ ქოლგა ორგანიზაციებში, რომელშიც გაწევრიანებულია ასოციაცია.

9 მაისს გაიმართა ასოციაციის წევრთა ყოველწლიური საერთო კრება, სადაც ასოციაციის წევრებს დეტალურად მიეწოდათ ინფორმაცია 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ, დამტკიცებული იქნა წლიური ანგარიში და სამოქმედო გეგმა. კრებაზე ასევე განხილულ იქნა ასოციაციის მიმდინარე გამოწვევები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ორგანიზებული იქნა ტრეინინგი ლიტერატურული ნაწარმოებებს ავტორებისათვის, რომლებიც ახორციელებენ გადამუშავებული ნაწარმოებების შექმნას. ტრეინინგზე განხილულ იქნა გადამუშავებული ნაწარმოების სამართლებრივი რეგულაციები და მისი დაცვის მექანიზმები.

გაიმართა შეხვედრა ბიბლიოთეკების წარმომადგენლებთან ლიტერატურული ნაწარმოებების მფლობლების ფორმით გადაცემის (Public Lending) სფეროს ლიცენზირების მიზნით. მოსარგებლეებს მიეწოდათ ინფორმაცია კანონის მოთხოვნების და ლიცენზირების მექანიზმების შესახებ. განხილული იქნა მათი რეკომენდაციები და სფეროს ლიცენზირებისათვის საჭირო სხვა საკითხები.

ასოციაციაში დანერგილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის, VERICAST-ის, გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ბაზაში ინტეგრირდა ქართული ნაწარმოებები, რის მოხმარებასაც არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს 50-ზე მეტი კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია შეძლებს. პროგრამა შექმნილია ესპანური კომპანიის Bmat-ის მიერ და იგი უზრუნველყოფს 11 ქართული ტელეარხის ეთერში გასული მუსიკალური ნაწარმოებების ამოცნობას და აღნიშნულ ინფორმაციაზე სისტემურ წვდომას, რაც ასოციაციას შეგროვებული ჰონორარის ზუსტ განაწილებაში ეხმარება.

დაიგეგმა მოსამართლეთა და ჟურნალისტთა სემინარები საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარგში, რომელიც ამერიკის მთავრობის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის (Commercial Law Development Program) დაფინანსებით და თანამშრომლობით, ყოველწლიურად, უკვე მეხუთე წელია ხორციელდება. სემინარი სავარაუდოდ ა/წლის შემოდგომის დასაწყისში, ბათუმში გაიმართება.

გაფორმებული იქნა საერთაშორისო მნიშვნელობის ლიცენზია YouTube-თან, საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების, საქართველოს ტერიტორიაზე, ინტერნეტის სახით, საჯარო გავრცელებისათვის. ლიცენზია 3 წლიანია მისი მომდევნო განახლების პირობით. მისი მეშვეობით, ქართველი და უცხოელი ავტორები, იმ ნაწარმოებებისათვის, რაც YouTube-ზეა განთავსებული, შესაბამის ფინანსურ სარგებელს (ჰონორარს) მიიღებენ.

ასოციაციამ აქტიურად განახორციელა როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებების სფეროში მოსარგებლეთა ლიცენზირება და ჰონორარის შეგროვება. პარალელურად ასოციაცია თანმიმდევრულად მუშაობს ახალი სეგმენტების ათვისების კუთხითაც, მათ შორის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე ქონებრივი უფლებების კოლექტიურად მართვის მიმართულებით.

”საავტორო უფლება გვაძლევს შესაძლებლობას კანონით დავიცვათ ჩვენს მიერ შექმნილი ნაწარმოები“

მიხეილ კობახიძე

რეჟისორი

გასული სამი თვის განმავლობაში ასოციაციის საქმიანობა რიცხვებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ასოციაცია აღრმავებს საერთაშორისო ურთიერთობებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობითი ხელშეკრულებების გაფორმების კუთხით.

მიმდინარე პერიოდში დაიწყო მოლაპარაკებები უცხოეთის 37 ორგანიზაციასთან, მათ შორის აფრიკის კონტინენტის კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციებთან. მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრა ხელმოწერის თარიღები 8 ხელშეკრულებისთვის 3 სხვადასხვა ორგანიზაციასთან: 5 ხელშეკრულება ბელგიასთან (SABAM), იაპონიასთან (CRPA) და რუსეთთან (COPIRYUS), ასევე გაფორმდა ახალი ხელშეკრულება მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ, ბოსნია და ჰერცოგოვინას (AIS) ორგანიზაციათან და დანართი საბერძნეთის (ERATO) ორგანიზაციასთან, რომელიც ეხება ორგანიზაციის ტერიტორიული დაფარვის გაფართოებას.

ასოციაციის მუშაობა განსაკუთრებით აქტიურია მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ უცხოურ ორგანიზაციებთან. პატრნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება საკუთარი რეპერტუარის გამოგზავნა, რაც, შემდეგ, ასოციაციის მიერ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს უცხოელი მომიჯნავე უფლებების მფლობელებისთვის ჰონორარის ზუსტი განაწილება.

ასოციაციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციების მიერ გამართულ რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებასა და შეხვედრაზე. 30-31 მარტს, ასოციაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურად მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) მიერ ორგანიზებულ ბიზნესის ტექნიკური კომიტეტის შეხვედრაში, ხოლო 16-19 მაისს, ასოციაციის თანამშრომლები დაესწრნენ ამავე ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ესტონეთის დედაქალაქ ტალინში. 30 მაისს ასოციაციის წარმომადგენლები, ასევე იმყოფებოდნენ ფინეთის ქალაქ ჰელსინკში, რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციათა საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) ევროპული ჯგუფის შეხვედრაზე.

უცხოური კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციებისა თუ მოსარგებლეების მიერ განხორციელდა მომართვები შესაბამისი ქვეყნების ტერიტორიაზე ქართველი ავტორების ნაწარმოებების გამოყენების შესახებ. ეს ის შემთხვევებია, რომელიც სცდება კოლექტიური მმართველობის სფეროს. თუმცა, ასოციაცია ავტორებისათვის ეწევა შესაბამის კონსულტაციებს, ახორციელებს მოლაპარაკებებს ასოციაციის რეპერტუარს მიკუთვნებული ნაწარმოების უცხოეთში გამოყენების თაობაზე. შედეგად გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება, კერძოდ სულხან ცინცაძის, ალექსანდრე ბასილაიას და სხვა ქართველი ავტორების ნაწარმოებების გამოყენების თაობაზე.

”შემოქმედის პატივისცემა მისი საავტორო უფლების დაცვით იწყება“

ნანი ბრეგვაძე

მომღერალი

ჰონორარი

ავტორის, საავტორო ან მომიჯნავე უფლების სხვა მფლობელის, მონაცემთა ბაზის დამამზადებლის შემოსავალი, რომელსაც იგი იღებს მისი ნაწარმოების, მისი შესრულების, მის მიერ დამზადებული ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის ან მაუწყებლობის გადაცემის გამოყენებისათვის, გარდა ისეთი გამოყენებისა, რომელიც „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შესაძლებელია ჰონორარის გადახდის გარეშე.

კომპიუტერული პროგრამა

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოები, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების სახეობას. თვისობრივად კომპიუტერული პროგრამა არის ინსტრუქციათა ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. კომპიუტერულ პროგრამად ითვლება ასევე აღნიშნული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელი მასალაც. კომპიუტერული პროგრამის დაცვა ვრცელდება ყველა სახის კომპიუტერულ პროგრამაზე (ოპერაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი ენით და ფორმით, საწყისი ტექსტისა და ობიექტური კოდის ჩათვლით.

საავტორო უფლების დაცვის ნიშანი

მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლება ნაწარმოებზე წარმოიშობა მისი შექმნის მომენტიდან, ანუ როდესაც ნაწარმოები გამოხატულია რაიმე ობიექტური ფორმით, რაც მისი აღქმისა და რეპროდუცირების საშუალებას იძლევა და მას სპეციალური რეგისტრაცია ან სხვა ფორმალობათა დაცვა არ სჭირდება, უფლების მფლობელს მაინც შეუძლია თავისი უფლების განცხადებისათვის გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:
ა) ლათინური ასო C წრეწირში: ©;
ბ) განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
გ) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი.

მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი

ისევე როგორც საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების შემთხვევაში, მომიჯნავე უფლებათა წარმოშობისა და განხორციელებისათვისაც აუცილებელი არ არის რეგისტრაცია ან რაიმე სახის ფორმალობათა დაცვა. თუმცა, მომიჯნავე უფლების მფლობელსაც, როგორც ავტორს, თავისი უფლების განცხადებისათვის, ასევე შეუძლია გამოიყენოს მომიჯნავე უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე ან/და მის ფუტლარზე და შედგება სამი ელემენტისაგან:
ა) ლათინური ასო P წრეწირში: (P) ;
ბ) განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება);
გ) ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი.

სახვით ხელოვნების ნაწარმოებზე დაშვების უფლება

სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორს, მაგალითისთვის ნახატის ავტორს, მაშინაც კი, როდესაც მოხდება მისი ნახატის გასხვისება, უფლება აქვს მოსთხოვოს ნახატის (ნაწარმოების) ფიზიკურ მესაკუთრეს, რომ მიეცეს თავისი ნაწარმოების რეპროდუცირების ანუ ასლის გადაღების ან სხვანაირი კოპირების საშუალება, ისე რომ არ მოხდეს ნაწარმოების დაზიანება. აღნიშნული უფლება წარმოადგენს დაშვების უფლებას. თუმცა, მესაკუთრეს არ შეიძლება მოეთხოვოს ნაწარმოების მიტანა ავტორთან.

სახვითი ხელოვნების და ფოტოგრაფიული ნაწარმოების გადაყიდვის უფლება

სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიულ ნაწარმოებს გააჩნიათ განსაკუთრებული თვისება აღნიშნული ნაწარმოების ფიზიკური გასხვისებისას, რაც გამოარჩევს მათ სხვა სახის ნაწარმოებებისაგან. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ მაგალითისათვის მხატვარმა შეიძლება გაყიდოს თავისი ნახატის ორიგინალი და ფიზიკური საკუთრება გადასცეს ახალ მესაკუთრეს და ბუნებრივია ამაში აიღოს ნახატის საფასური, მას კვლავ უნარჩუნდება უფლება პირველადი გასხვისების შემდგომაც მიიღოს ჰონორარი, აღნიშნული ნახატის ყოველი მომდევნო გაყიდვის შემთხვევაში, მათ შორის, პროფესიონალი შუამავლების (სამხატვრო სალონის, სახვითი ხელოვნების გალერეის და სხვ.) მეშვეობით გაყიდვისას. აღნიშნული უფლება იწოდება გადაყიდვის უფლებად (Resale Right). ავტორს/მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს ჰონორარი შემდეგი ოდენობით: ა) თუ გასაყიდი ფასია 500 ლარიდან 100 000 ლარამდე – 4%; ბ) თუ გასაყიდი ფასია 100 000,01 ლარიდან 400 000 ლარამდე – 4000 ლარს + 100 000,01 ლარს ზემოთ თანხის 3%; გ) თუ გასაყიდი ფასია 400 000,01 ლარიდან 700 000 ლარამდე – 13 000 ლარს + 400 000,01 ლარს ზემოთ თანხის 1%; დ) თუ გასაყიდი ფასია 700 000,01 ლარიდან 1 000 000 ლარამდე – 16 000 ლარს + 700 000,01 ლარს ზემოთ თანხის 0,5%; ე) თუ გასაყიდი ფასია 1 000 000 ლარზე მეტი – 17 500 ლარს + 1 000 000 ლარს ზემოთ თანხის 0,25%. აღნიშნული უფლება ავტორს კანონით აქვს

გარანტირებული, სადაც მოცემულია ამ უფლების განხორციელების დეტალური რეგულირება. მითითებული უფლებაზე ჰონორარის შეგროვება ხორციელდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც, სახვითი ხელოვნების ან ფოტოგრაფიული ნაწარმოების გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მას გაყიდვის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, კანონითვეა დადგენილი ჰონორარის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც გადასახადების გადახდის გარეშე არ უნდა აღემატებოდეს 25 000 ლარს. გადაყიდვის უფლების გასხვისება აკრძალულია და კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით გადადის მხოლოდ ავტორის მემკვიდრეზე, საავტორო უფლების მოქმედების ვადით. გარდა ამისა, სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალს უთანაბრდება ავტორის მიერ, ან მისი ნებართვით, შეზღუდული რაოდენობით, დამზადებული ორიგინალის ასლები.

საჯარო თხოვება

ნაწარმოების ფიზიკურად გასხვისების გარდა, ასევე ხორციელდება ნაწარმოების და/ან მისი ასლის გაქირავება, თხოვება და სხვა ნებისმიერი სახით მფლობელობაში გადაცემა. აღნიშნული წარმოადგენს ავტორის ერთ-ერთ განსაკუთრებულ ქონებრივ უფლებას. როდესაც, მაგალითად ლიტერატურული ნაწარმოების გაქირავება/თხოვება ხორციელდება ბიბლიოთეკასა თუ სხვა დაწესებულებაში, ავტორი უფლებამოსილია გასცეს ნებართვა და მიიღოს ჰონორარი. ამ უფლების განხორციელებას დიდი საერთაშორისო პრაქტიკა გააჩნია და მას საჯარო თხოვებას (Public Lending) უწოდებენ. აღნიშნული უფლების რეგულირება ხორციელდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მეშვეობით, რომელიც გასცემს შესაბამის ნებართვას „თხოვების განმახორციელებელ“ დაწესებულებებზე, აგროვებს ჰონორარს და უნაწილებს ნაწარმოებების ავტორებს.

ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირების მიერ პირადი სარგებლობისთვის ნაწარმოების რეპროდუცირება დასაშვებია ნებართვისა და ჰონორარის გადახდის გარეშე, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი უშვებს შემთხვევას, როდესაც ასეთი რეპროდუცირების (კოპირების) შემთხვევაში ავტორი უფლებამოსილია მიიღოს ჰონორარი. მაშინ, როდესაც ხორციელდება აუდიოვიზუალური და/ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების რეპროდუცირება ფიზიკური პირების მიერ, ასეთი ნაწარმოებების ავტორებს უფლება აქვთ მიიღონ ჰონორარი. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია სრული სიზუსტით დადგინდეს როდის ხორციელდება ასეთი სახის ნაწარმოების რეპროდუცირება და ასევე რთულია ყოველი რეპროდუცირებისას აღნიშნულის განმახორციელებლის მოძიება და მათ მიერ ჰონორარის გადახდის ადმინისტრირება, კანონი ითვალისწინებს აღნიშნულის რეგულირების ყველაზე გონივრულ მექანიზმს.

კერძოდ, ჰონორარი გადახდილი უნდა იქნას იმ მოწყობილობებსა და მატერიალურ მატარებლებზე, რომლებზეც შესაძლებელია ზემოთხსენებული ნაწარმოებების რეპროდუცირება. აღნიშნული ჰონორარის გადახდას ახორციელებენ შესაბამისი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების დამამზადებლები და/ან იმპორტიორები. მითითებული უფლების რეგულაცია საერთაშორისო დონეზე უკვე მრავალი წელია ხდება და მას უწოდებენ პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებას (Private Copying). ამ უფლებას ახორციელებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს და ანაწილებს ჰონორარს შესაბამის უფლების მფლობელებზე. კანონი ასევე ადგენს ჰონორარის განაწილების პროპორციასაც. ჰონორარის 40 პროცენტი – ავტორებს, 30 პროცენტი – შემსრულებლებს, 30 პროცენტი – ფონოგრამების დამამზადებლებს.

საავტორო უფლებების შეზღუდვა

მიუხედავად იმისა, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, ნაწარმოების გამოყენება ხორციელდება მხოლოდ ამ ნაწარმოების ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის ნებართვითა და მისთვის ჰონორარის გადახდით, კანონი ასევე ადგენს ისეთ გამონაკლისებს, როდესაც შესაძლებელია ნაწარმოების ისეთი გამოყენება, როცა გამომყენებელს/მოსარგებლეს არ ევალება ნებართვის მოპოვება და/ან ჰონორარის გადახდა. ასეთ შემთხვევებს საავტორო უფლებების შეზღუდვა ეწოდება, რაც ხორციელდება საავტორო ქონებრივი უფლებების განხორციელების შეზღუდვით, ხოლო არაქონებრივი უფლებების შეზღუდვას კანონი არ იცნობს. შეზღუდვა ხშირ შემთხვევაში ზოგიერთ ნაწარმოებს და კონკრეტული სახის გამოყენებას და/ან კონკრეტულ შემთხვევას ეხება. კანონის თანახმად, საავტორო ქონებრივი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს: ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისათვის ნაწარმოების რეპროდუცირების ზოგიერთ შემთხვევაში; ნაწარმოების რეპროგრაფიული გამრავლებისას ბიბლიოთეკების, არქივებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული გარემოებების არსებობისას; ნაწარმოებიდან ციტირებისას განსაკუთრებული პირობების დაცვით; ნაწარმოებიდან მოკლე ნაწყვეტების გამოყენებისას ილუსტრაციის სახით, გამოცემებში, რადიო და ტელეგადაცემებში, სასწავლო ხასიათის ფონო და ვიდეოჩანაწერებში; საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირებისას ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემის დროს კანონით დადგენილ ფარგლებში; მიმდინარე მოვლენების პროცესში დანახული ან მოსმენილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას ან საჯარო გადაცემისას მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში ფოტოგრაფირების, ეთერში ან კაბელით გადაცემის გზით; საჯაროდ წარმოთქმული პოლიტიკური მოხსენების, სიტყვის, ლექციის, მიმართვის, ქადაგების და მსგავსი ნაწარმოებების რეპროდუცირებისას ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა პერიოდული გამოცემების მეშვეობით ან საჯარო გადაცემისას შესაბამისი მოცულობით; მართლზომიერად გამოქვეყნებული, რელიეფური, წერტილოვანი შრიფტით ან სხვა სპეციალური საშუალებით უსინათლოთათვის შექმნილი ნაწარმოების რეპროდუცირებისას, რაც დასაშვებია გარკვეული გარემოებების არსებობისას; თავისუფალი დასწრებისათვის ღია ადგილებში მუდმივად განლაგებული ნაწარმოების გამოყენებისას; მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებისას ოფიციალური ცერემონიების დროს; ნაწარმოების რეპროდუცირებისას სასამართლო წარმოებისათვის, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ ნაწარმოების მოკლევადიანი ჩაწერის დროს და ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში კომპიუტერული პროგრამისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებისას. ამასთან, დაუშვებელია ნაწარმოების სხვა სახის გამოყენება საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე.

მომიჯნავე უფლებების შეზღუდვა

ისევე როგორც საავტორო ქონებრივი უფლებების შეზღუდვას, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი იცნობს მომიჯნავე უფლებების შეზღუდვასაც. კერძოდ, გარკვეული პირობების არსებობისას, შესაძლებელია მომიჯნავე უფლების მფლობელის ნებართვისა და შესაბამისი ჰონორარის გადახდის გარეშე შესრულებიდან, ფონოგრამიდან, ვიდეოგრამიდან, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემიდან ციტირება სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის; მოკლე ნაწყვეტების ილუსტრაციის სახით გამოყენება სწავლებისათვის ან მეცნიერული გამოკვლევებისათვის; მოკლე ნაწყვეტების ჩართვა მიმდინარე მოვლენათა მიმოხილვაში. ხოლო, საეთერო მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს შემსრულებლის, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის თანხმობის გარეშე განახორციელოს შესრულების ან გადაცემის ჩაწერა მოკლევადიანი სარგებლობისათვის და ასეთი ჩანაწერის რეპროდუცირება შემდეგი პირობების დაცვით. გარდა ამისა, კანონი უშვებს შემთხვევებს, როდესაც მომიჯნავე უფლების მფლობელის თანხმობა არ არის საჭირო, მაგრამ მას უნარჩუნდება ჰონორარის მიღების უფლება და ეს შემთხვევაა, როდესაც ხდება ფონოგრამის საჯარო შესრულება, გადაცემა ეთერში, კაბელით ან კაბელით ხელახალი გადაცემა. ამ შემთხვევაში ჰონორარს აგროვებს და შესაბამის უფლების მფლობელებს უნაწილებს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია.

ლიცენზია

საავტორო ქონებრივი უფლებების გადაცემა კანონის თანახმად შესაძლებელია მემკვიდრეობით ან/და ხელშეკრულებით, ხოლო არაქონებრივი უფლებები პირადი და განუსხვისებელია. ავტორის, მისი წარმომადგენელის და/ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ ხელშეკრულების დადება საავტორო ქონებრივი უფლებებით სარგებლობისათვის და/ან ქონებრივი უფლებების სრული ან ნაწილობრივი გადაცემისას, წარმოადგენს უფლების მფლობელის მიერ ლიცენზიის გაცემას. კანონი ითვალისწინებს ლიცენზიის ორ სახეს: განსაკუთრებულ და ჩვეულებრივ ლიცენზიას. განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიანტს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის ავტორის) მიერ. ნაწარმოების სხვა პირთა მიერ გამოყენების აკრძალვის უფლება შეიძლება განახორციელოს ავტორმა, თუ ლიცენზიატი არ აწარმოებს ამ უფლების დაცვას. ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი ლიცენზიანტს აძლევს უფლებას/ნებართვას გამოიყენოს ნაწარმოები იმ პირთა თანაბრად, რომლებმაც მიიღეს ასეთი ნაწარმოების იმავე სახით გამოყენების უფლება. განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შემთხვევაშიც კი,

ავტორს ამ ნაწარმოების გამოყენების უფლება უნარჩუნდება თავის ნაწარმოებთა მხოლოდ სრული კრებულის გამოცემისას, თუ განსაკუთრებული ლიცენზიის გაცემის შედეგად თარიღიდან, როდესაც გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით ნაწარმოები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა, გასულია 5 წელი. ამასთან, ავტორს არა აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ნაწარმოები სრული კრებულისაგან დამოუკიდებლად. სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებში ნაწარმოების გამოყენების სალიცენზიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირადაც. ამასთან, სალიცენზიო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს: გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (სახელწოდება, მოცულობა, ჟანრი და სხვა), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრის წესს ან ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ. ნაწარმოების ყველა იმ სახით გამოყენების უფლება, რომელიც სალიცენზიო ხელშეკრულებით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს. თუ სალიცენზიო ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა ან საავტორო უფლების სხვა მფლობელმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. სალიცენზიო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირებს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. თუ ნაწარმოების რეპროდუცირების შესახებ სალიცენზიო ხელშეკრულებაში ჰონორარი განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, სალიცენზიო ხელშეკრულებით უნდა დადგინდეს ნაწარმოების მაქსიმალური ტირაჟი.

კონტრაფაქციული ასლი

კონტრაფაქციულად ითვლება ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლები, რომელთა დამზადება, გავრცელება, გაქირავება ან სხვაგვარი გამოყენება იწვევს საავტორო და მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის კანონით გარანტირებული უფლებების დარღვევას. კონტრაფაქციულად ითვლება აგრეთვე იმ ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის ასლები, რომლებიც დაცულია საქართველოში ამ კანონის შესაბამისად და უფლებისმფლობელის თანხმობის გარეშე იმპორტირებულია საქართველოში იმ სახელმწიფოდან, სადაც ისინი არასდროს ყოფილა დაცული ან სადაც მათი დაცვა შეწყვეტილია. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება კონტრაფაქციული ასლების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის საჭირო მოწყობილობის ან მისი კომპონენტის ჩამორთმევის შესახებ. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციული ასლები შეიძლება გადაეცეს უფლების მფლობელს მისი მოთხოვნით. კონტრაფაქციული ასლები, რომლებიც არ იქნა გამოთხოვილი უფლების მფლობელთა მიერ ექვემდებარება განადგურებას სასამართლოს გადაწყვეტილებით. ჩამორთმევას არ ექვემდებარება მესამე პირის მიერ მართლზომიერად შეძენილი კონტრაფაქციული ასლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონტრაფაქციული ასლი შეძენილია კომერციული გამოყენების მიზნით.



”საავტორო უფლებების დაცვა არის შემოქმედებითი ბალის ჭიშკარში გაყრილი საიმედო ურდული“

გელა ჩარკვიანი

კომპოზიტორი

ნინო ანანიაშვილს იაპონიის იმპერატორის ჯილდო მიენიჭა

1

29 აპრილს, ტოკიოში, იაპონიის იმპერატორის ჯილდოს 2017 წლის გაზაფხულის ლაურეატები გამოცხადდა. თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, ლენტით დამშვენებული, „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენით დაჯილდოვდა.

ნინო ანანიაშვილს ჯილდო იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში ხანგრძლივი და მრავალფეროვანი მოღვაწეობისა და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მიენიჭა. პრიმა-ბალერინასთვის მინიჭებული ჯილდო კულტურის მოღვაწეთათვის იაპონიის მიერ დაწესებული ჯილდოებიდან ყველაზე მაღალი რანგისაა.



„ჩემი ბედნიერი ოჯახი” სანდენსის კინოფესტივალზე წლის აღმოჩენად დასახელდა

სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალზე, ფილმისთვის „ჩემი ბედნიერი ოჯახი”, ნანა ექვთიმიშვილმა და სიმონ გროსმა საუკეთესო რეჟისურისთვის ჯილდო მიიღეს. „ჩემი ბედნიერი ოჯახი” სანდენსის კინოფესტივალზე წლის აღმოჩენად დასახელდა. The New York Times-მა ისინი იმ ცხრა ახალ რეჟისორს შორის დაასახელა, რომელთა ფილმებიც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა ნახოს. ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ერთობლივი ნამუშევრის გლობალური დისტრიბუციის უფლება ცოტა ხნის წინ NETFLIX-მა შეიძინა. მსოფლიო კინოგაქირავებაში ჩაშვებამდე კი, 15 დან 26 მარტის ჩათვლით, ფილმს ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში აჩვენებენ.

„ჯიბის კაცი“ საუკეთესო ანიმაციების რიგებში მოხვდა

3

ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმი „ჯიბის კაცი“ ნიუ-იორკის საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალის საუკეთესო 12-ს შორის მოხვდა. New-York International Children’s Film Festival -ზე 2500 განაცხადიდან მხოლოდ ასმა ფილმმა მოიპოვა მონაწილეობის უფლება.
ანა 27 წლის პირველი ქართველი ილუსტრატორია, ვისი პროექტიც ფესტივალის ფინალისტებს შორის მოხვდა.
„ჯიბის კაცის“ ჩვენება ფრანგულ ტელევიზია Canal + ზე იგეგმება.
ანას ნამუშევარმა დამატებით მონრეალის საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალზე, საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმის წოდებაც მოიპოვა და მომავალში 16-მდე სხვადასხვა კინოფესტივალზე წარდგება.

ქართველი მხატვარის ჰოლანდიური წარმატება - გიორგი კუხალაშვილის ნახატების გამოფენა ქალაქ ბარნში

4

ქართველი მხატვარი, გიორგი კუხალაშვილი, ჰოლანდიის სამხატვრო, საგამოფენო წრეების მიწვევით ნიდერლანდებში იმყოფებოდა. 2017 წლის 6 მაისს, ქალაქ ბარნში, Castle Groeneveld-ში, რომელიც ამჟამად კულტურის ცენტრია და არაერთ მნიშვნელოვან არტ ღონისძიებას მასპინძლობს, მხატვრის სოლო გამოფენა გაიხსნა. გიორგი კუხალაშვილის შემოქმედებას ვრცელი სტატია ჰოლანდიურმა გამოცემამ, „Kunst-& Museumkrant“-მა და პოპულარულმა არტ ჟურნალმა „Vind“-მა მიუძღვნა.

5 ტოკიოში ქართველი დიზაინერების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

„აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 19-დან 24 მაისის ჩათვლით, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, ქართველი დიზაინერების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა, სახელწოდებით: What's New, Georgia?. ღონისძიების ფარგლებში ქართველ დიზაინერებს საშუალება მიეცათ სახელი გაეთქვათ საერთაშორისო ბაზარზე. გამოფენის კვირეულში საკუთარი კოლექციები წარმოადგინეს ლაკო ბუკიამ, ლალო კარდიგანსმა, ჩუბიკამ, ლაშა დევდარიანმა და რია ქებურიამ. კვირეულის ფარგლებში ორგანიზაცია „Project ArtBeat“-მა, გამართა ფოტოგამოფენა სახელწოდებით “Mother Georgia”, by Brian Griffin,-ი, რომელზე წარდგენილი ფოტოებიც ბრიტანელმა ფოტოგრაფმა 1989 წელს, საქართველოში იაპონური ცნობილი ბრენდის, „Comme des Garçons“-ის დაკვეთით გადაიღო.

6

თინა მახარაძის ფილმი კანის კინოფესტივალზე მოხვდა

თინა მახარაძის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი სახელწოდებით „მოწყენილობა“, კანის კინოფესტივალზე აჩვენეს. ფილმში აღწერილია ერთი ქალის ამბავი, რომელიც პატარა ქალაქში ცხოვრობს და გარემოდან გამომდინარე, ქმნის სივრცეს საკუთარი თავისთვის. ფილმის რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც თინა მახარაძეა.





7

სოსო ბლიაძის ფილმმა კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე ორი პრიზი მიიღო

იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმი, „სამი საფეხური”, კიევის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე 2 პრიზის მფლობელი გახდა. ფილმს ჟიურის სპეციალური აღნიშვნა და მაყურებლის ჯილდო გადაეცა.

8 ხატია ბუნიათიშვილის ახალი ალბომი ლიდერია

ხატია ბუნიათაშვილმა კლასიკური მუსიკის მოყვარულებს რიგით მეორე ალბომი წარუდგინა. პაავო ჯარვის დირიჟორობით და ჩეხეთის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად, პიანისტი, რახმანინოვის მეორე და მესამე საფორტეპიანო კონცერტებს ასრულებს. ახალი ალბომის პრეზენტაცია 2017 წლის 11 მარტს შედგა და ის უკვე ლიდერია აითუნსის კლასიკური მუსიკის ჩამონათვალში.



არენა დი ვერონას ფესტივალის გახსნაზე 4 ქართველი იმღერებს 9

კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა არენა დი ვერონას ფესტივალია. წელს მისი საზეიმო გახსნა ჯუზეპე ვერდის „ნაბუქოთი“ მოხდა. საოპერო სპექტაკლში მონაწილეობას მიიღეს ქართველმა შემსრულებლებმა - მადინა კარბელმა, გიორგი გაგნიძემ, მიხეილ შეშაბერიძემ და ნინო სურგულაძემ.